



საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1327 2018 წლის 2 ივლისი ქ. თბილისი

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებელთა „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან გათავისუფლების თაობაზე

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, 2018 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 1 იანვრამდე სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლები (შემსყიდველი ორგანიზაციები და შესყიდვებში მონაწილეობის მიღების მსურველები/პრეტენდენტები/მიმწოდებლები) ამავე სისტემაში ელექტრონული დოკუმენტების ატვირთვისას გათავისუფლდნენ „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან.

პრემიერ-მინისტრი



მამუკა ბახტაძე